# აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა

დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის ოქმი № 5
28.12.2017

ქუთაისი

# აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
# ს ა მ ო ქ მ ე დ ო   გ ე გ მ ა   2017-2022 წწ

განხილულია:
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე ___28. 12. 2017____ ოქმი # ___5___

## მოკლე სიტუაციური აღწერა

2012 წლიდან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით, ახორციელებს აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, რვა დარგობრივი დეპარტამენტის ბაზაზე:

| ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეპარტამენტები | |
|---|---|
| ➢ ისტორია-არქეოლოგიის | ➢ კლასიკური და რომანული ფილოლოგიის |
| ➢ ქართული ფილოლოგიის | ➢ სლავური ფილოლოგიის |
| ➢ ინგლისური ფილოლოგიის | ➢ აღმოსავლური ფილოლოგიის |
| ➢ გერმანული ფილოლოგიის | ➢ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის |

ფაკულტეტეზე მოქმედებს 9 საბაკალავრო, 13 დამატებითი (მაინორი), 1 ქართულ ენაში მომზადების, 16 სამაგისტრო და 9 სადოქტორო პროგრამა:

### საბაკალავრო პროგრამები:

- ისტორია
- არქეოლოგია
- ფილოსოფია
- ქართული ენა და ლიტერატურა
- ინგლისური ენა/ლიტერატურა
- გერმანული ენა/ლიტერატურა
- ფრანგული ენა და ლიტერატურა
- რუსული ენა/ლიტერატურა
- აღმოსავლური ფილოლოგია
- ხელოვნებათმცოდნეობის minor პროგრამა
- კლასიკური ფილოლოგიის minor პროგრამა
- კულტუროლოგიის minor პროგრამა
- ფსიქოლოგია minor პროგრამა

❖ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

### სამაგისტრო პროგრამები:

- საქართველოს ისტორია
- ევროპა/ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია
- აღმოსავლური ფილოლოგია
- ქართული ლიტერატურა
- ლინგვისტიკა
- ევროპისმცოდნეობა

- არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაცია
- ინგლისური ენა/ლიტერატურა
- ფრანგული ენა/ლიტერატურა
- რუსული ენა/ლიტერატურა
- გერმანული ენა/ლიტერატურა
- ხელოვნების თეორია
- ქართველური ენათმეცნიერება
- ამერიკისმცოდნეობა
- კლასიკური ფილოლოგია
- ფილოსოფია – რელიგიის კვლევები

**სადოქტორო პროგრამები:**

- საქართველოსისტორია
- დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა
- არქეოლოგია
- ქართველური ენათმეცნიერება
- აღმოსავლური ფილოლოგია
- შეპირისპირებითი ლინგვისტიკა
- ქართული ლიტერატურა
- კლასიკური ფილოლოგია
- გერმანული ენათმეცნიერება

**ფაკულტეტის ხედვა:**

2022 წლისთვის ფაკულტეტი წარმოადგენს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომელსაც შენარჩუნებული ექნება საუკეთესო მიღწევები და სულ უფრო მზარდი რეპუტაცია ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით. იგი უზრუნველყოფს რეალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამისი ადამიანური რესურსების უწყვეტ და დინამიკურ განვითარებას; ჰყავს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი; იზიდავს და ინარჩუნებს მოტივირებულ და მიღწევაზე ორიენტირებულ ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებს; სთავაზობს მათ მრავალფეროვან სერვისებს; შექმნილია და კიდევ უფრო ავითარებს ხელშემწყობ გარემოს სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრებისა და პიროვნული განვითარებისათვის. ფაკულტეტს დამყარებული აქვს მჭიდრო აკადემიური და მეგობრული ურთიერთობა მსოფლიოსა და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების შესაბამის ფაკულტეტებთან; გააჩნია და ისწრაფვის კიდევ უფრო გააძლიეროს სასწავლო-სამეცნიერო პოტენციალი და დასახოს ახალი პერსპექტივები. გაფორმებულია და ფორმდება ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ქვეყნისა და საზღვარგარეთის კვლევით ცენტრებსა და სასწავლო დაწესებულებებთან; გაძლიერებულია კვლევითი საქმიანობა. უზრუნველყოფილია ღია აკადემიური სივრცე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისათვის და ფაკულტეტი აქტიურად არის ჩაბმული რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **სტრატეგიული განვითარების მიზნებია:**

- აკადემიური პროგრამების მოდერნიზება საგანმანათლებლო სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა;
- ინტერდისციპლინარული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორი უნივერსიტეტების თანამონაწილეობით;

- ტრენინგ-კურსების ამოქმედება და განხორციელება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სტრატეგიისათვის;
- საზაფხულო და საზამთრო თემატური სკოლების განვითარება.

**სტრატეგიული მიმართულებები:**

1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმების დანერგვა;
3. კვლევითი ფუნქციის გაძლიერება, სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საკონსულტაციო და სასერტიფიკაციო მომსახურების განვითარება;
4. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის პოლიტიკის მიზანმიმართული დანერგვა და განხორციელება;
5. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები;
6. პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა;
7. ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება;
8. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.

**საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება**

| ამოცანები | რაოდენობრივი მაჩვენებელი | თვისებითი/ხარისხობრივი მაჩვენებელი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1 აკადემიური პროგრამების მოდერნიზება საგანმანათლებლო სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. | 24 პროგრამა (არსებული 39-ის ნაცვლად) | მოქმედი რეგულაციით განსაზღვრული მაჩვენებლები და კრიტერიუმები | | | | | | |
| 1.2 ინტერდისციპლინარული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა აწსუ-ს ფაკულტეტებთან თანამშრომლობით. | 1 პროგრამა | | | | | | | |
| 1.3 ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორი | 1 პროგრამა 2022 წლისათვის | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტების (საქართველოს და უცხოური) თანამონაწილეობით. | | | | | | | | |
| 1.4 მოდულური პროფესიული პროგრამების განხორციელება. | | მოქმედი რეგულაციით განსაზღვრული მაჩვენებლები | | | | | | |
| 1.5 ტრენინგ-კურსების ამოქმედება და განხორციელება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სტრატეგიისათვის. | არსებულის 20%-ით | მოქმედი რეგულაციით განსაზღვრული მაჩვენებლები | | | | | | |
| 1.6 ინოვაციური სასწავლო მასალების შექმნა, რომლებიც სრულყოფს სასწავლო პროგრამებს უმაღლესი აკადემიური განათლების სხვადასხვა საფეხურზე. | მინიმუმ 2 რესურსი თითოეული მიმართულების მიხედვით | | | | | | | |
| 1.7 კვლევის ინტეგრირება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. | | მოქმედი რეგულაციით განსაზღვრული მაჩვენებლები | | | | | | |
| 1.8 ახალი უცხოენოვანი აკადემიური პროგრამების განახლება/შემუშავება. | 1 პროგრამა 2022 წლისათვის | | | | | | | |

## 2 ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმების დანერგვა

| ამოცანები | რაოდენობრივი მაჩვენებელი | თვისებითი/ხარისხობრივი მაჩვენებელი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.1 პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, | | მექანიზმი უზრუნველყოფს საქმიანობის შეფასებას | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების მექანიზმები. | | | | | | | | |
| 2.2 სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და მისი გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. | | | | | | | | |
| 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები. | | | | | | | | |
| 2.4 სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა. | | | | | | | | |

**3 კვლევითი ფუნქციის გაძლიერება, სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საკონსულტაციო და სასერტიფიკაციო მომსახურების განვითარება.**

| ამოცანები | რაოდენობრივი მაჩვენებელი | თვისებითი/ხარისხობრივი მაჩვენებელი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.1. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტულობის განსაზღვრა და შესაბამისი სეგმენტის გაძლიერება | | კვლევითი პროფილი | | | | | | |
| 3.2. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორიენტირება შემდეგი კრიტერიუმის გაუმჯობესებით. | | | | | | | | |
| 3.2.1 კვლევის შედეგი (research output) - პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის გამოცემებში (ციტაციის კოეფიციენტი) და ა.შ. | ფონდებიდან დაფინანსებული სამეცნიერო პროექტების მაჩვენებლის გაზრდა 20%-ით | | | | | | | |
| 3.2.2 დოქტორანტების რაოდენობის ზრდა, სტუდენტების ჩართვა | | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კვლევით საქმიანობაში, ახალგაზრდა კვლევითი კადრების მომზადების სისტემის არსებობა. | | | | | | | | |

4. **სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის პოლიტიკის მიზანმიმართული დანერგვა და განხორციელება**

| ამოცანები | რაოდენობრივი მაჩვენებელი | თვისებითი/ხარისხობრივი მაჩვენებელი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზება. | | რეგულაციით განსაზღვრული მაჩვენებლები | | | | | | |
| 4.2. ელექტრონული სწავლების დანერგვა და შესაბამისი სასწავლო კურსების განვითარება. | რამდენიმე სასწავლო კურსი თითოეულ პროგრამაზე | | | | | | | |
| 4.3. სტუდენტების აკადემიური, შემოქმედებითი, სპორტული და სხვა სახის ინიციატივების მხარდაჭერა. | | | | | | | | |
| 4.4. სტუდენტების შეფასებისა და ხედვების გათვალისწინება სასწავლო პროცესის, ადმინისტრაციული მართვის და სასწავლო გარემოს ოპტიმიზაციისათვის. | | | | | | | | |

## 5. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

| ამოცანები | რაოდენობრივი მაჩვენებელი | თვისებითი/ხარისხობრივი მაჩვენებელი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.1. ფაკულტეტზე სტუდენტთა კონსულტაციებისა და მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების ამაღლების მიზნით. | | | | | | | | |
| 5.2. განახლებად რეჟიმში სტუდენტთა სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამების ფუნქციონირების ხელშეწყობა. | | | | | | | | |

## 6. პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა

| ამოცანები | რაოდენობრივი მაჩვენებელი | თვისებითი/ხარისხობრივი მაჩვენებელი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6.1. აკადემიური და დამხმარე პერსონალის სამუშაო გარემოს გაუმჯობესება. | | | | | | | | |
| 6.2. აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლება. | არსებულის 30%-ით გაზრდა კომპეტენციის დონეების შესაბამისად | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6.3. უცხოელი პროფესურის მოწვევა. | 3 პროფესორი | | | | | | | |
| 6.4 ახალგაზრდა კადრების კვლევებში ჩართვის ხელშეწყობა. | დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მკვლევრების რაოდენობის 10%-ით გაზრდა | | | | | | | |

**7. ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება**

| ამოცანები | რაოდენობრივი მაჩვენებელი | თვისებითი/ხარისხობრივი მაჩვენებელი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7.1 სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის სრულყოფილად აღჭურვილი, კომფორტული თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვითარებული ინფრასტრუქტურის შექმნა ხარისხიანი სწავლა-სწავლების, აქტიური დასვენებისა და განვითარების მიზნით. | | | | | | | | |
| 7.2 ფინანსური ბაზის სტაბილურობისთვის ზრუნვა. | | | | | | | | |

**8. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება**

| ამოცანები | რაოდენობრივი მაჩვენებელი | თვისებითი/ხარისხობრივი მაჩვენებელი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.1 საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. | | | | | | | | |
| 8.2 ერთობლივი საგანმანათლებლო | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამების შექმნა. | | | | | | | | | |
| 8.3 უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა. | | | | | | | | | |

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი ასოც. პროფ. ლუკა დვალიშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ინგა აბრამიძე